

2021-2022 | საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

1. მონაწილეთა რაოდენობა: 10

1	ვეფხვები პატარძელი
2	არმაზი მარნეული
3	ჯიქი გორი
4	არმია თბილისი
5	ხვამლი თბილისი
6	არწივები ოზურგეთი
7	ტაო სამცხე-ჯავახეთი
8	ჭადარი თელავი
9	ბაგრატი ქუთაისი
10	ბორჯომი ბორჯომი

1.1 სათამაშო დღეები: პარასკევი, შაბათი, კვირა

1.2 ძირითადი დებულების თანახმად, განაცხადში უნდა ეწეროს მინიმუმ 32 (ოც და თორმეტი) მოთამაშე

1.3 სამონაწილო გადასახადია გუნდზე 3,800 (სამი ათას რვაასი) ლარი

1.4 სალიცენზიო გადასახადია მოთამაშეზე 15 (თხუთმეტი) ლარი

2. გათამაშების სისტემა

2.0 შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად.

2.0.1 I ეტაპი – რეგულარულ ჩემპიონატი – გაიმართება ორ წრედ: მიმოსვლით – შინ და გარეთ (18 ტურად)

2.0.2 ლიგის ჩემპიონი გამოვლინდება II ეტაპზე – პლეი-ოფში

ამ ეტაპზე მონაწილეობს რეგულარული ჩემპიონატის ოთხი (4) მოწინავე გუნდი

2.1 I ეტაპზე (რეგულარულ ჩემპიონატში) ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით

2.1.1 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა ტოლი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი,

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

2.2 ჩემპიონატის II ეტაპზე – პლეი-ოფში – თამაშები გაიმართება

კლასიკური სქემით, ორ (2) ტურად:

რეგულარულ ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით გუნდებს მიენიჭებათ ნომრები – 1, 2, 3 და 4

"მასპინძლობს" ნიშნავს "ირჩევს მოედანს"

2.2.1 პირველ ტურში ორი მატჩია – ნახევარ-ფინალებში (ნფ)

ნფ1: 1 მასპინძლობს 4-ს

ნფ2: 2 მასპინძლობს 3-ს

მოგებულები გადიან ფინალში

წაგებულები ვარდებიან: უკეთეს-ნომრიანი იკავებს – III, უარეს-ნომრიანი – IV ადგილს

2.2.2 მეორე ტურში ერთი მატჩია – ფინალი

ნახევარ-ფინალებში მოგებულთაგან მასპინძელია უკეთეს-ნომრიანი

მოგებული ხდება I ლიგის ჩემპიონი (იკავებს I ადგილს), წაგებული იკავებს II ადგილს

2.2.3 პლეი-ოფში ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი

2.2.3.1 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში

გ) რომელსაც უკეთესი ნომერი მიენიჭა პლეი-ოფის დაწყების წინ

2.2.4 I ლიგის ჩემპიონი პირდაპირ ადის 2022-2023 სეზონის დიდ 10-ში და ცვლის 2021-2022 სეზონის დიდ 10-ში ბოლო, X ადგილზე გასულ გუნდს

2.2.5 I ლიგაში II ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2022-2023 სეზონისთვის დიდ 10-ში ასასვლელად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2021-2022 სეზონში დიდი 10-ის IX ადგილოსანს

2.2.5.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია I ლიგის გუნდი

2.2.6 I ეტაპის დასრულების შემდეგ ბოლოსწინა, IX ადგილოსანი გუნდი შემდეგი, 2022-2023 სეზონისთვის I ლიგაში დასარჩენად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2021-2022 სეზონში რეგიონული ლიგის II ადგილოსანს

2.2.6.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია რეგიონული ლიგის გუნდი

2.2.7 I ეტაპის დასრულების შემდეგ ბოლო, X ადგილოსანი გუნდი პირდაპირ ტოვებს I ლიგას

2.2.7.1 მის ადგილს შემდეგ, 2022-2023 სეზონში იკავებს 2021-2022 სეზონში რეგიონული ლიგის გამარჯვებული

2.2.8 2.2.5 და 2.2.6 მუხლებში ნახსენები დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.2.8.1 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) ზედა ლიგელი გუნდი: 2.2.5 – დიდი 10-ისა, 2.2.6 – I ლიგისა

2.3 ყველა ახალ-შექმნილი კაცთა გუნდი შემდეგ, 2022-2023 სეზონში ასპარეზობას იწყებს რეგიონალურ ლიგაში – გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

3. სავარაუდო ვადები

2021 წლის სექტემბერი – 2022 წლის მაისი

23/07_2021